სადაზღვევო რისკის კლასიფიკაცია და შეფასება

დავით ჭიოტაშვილი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

სადაზღვევო ორგანიზაციის სადაზღვევო პორტფელის ფორმირება და ზარალის გადანაწილების პრობლემის გამოკვლევა უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებს ისეთი მნიშვნელოვანი სადაზღვევო საქმიანობის არსებითი მახასიათებლის შესწავლასა და გამოყენებას, როგორიცაა: **„სადაზღვევო რისკი"**.

დაზღვევაში ტერმინით **„სადაზღვევო რისკი"** აღინიშნება:

- **პოტენციური სადაზღვევო შემთხვევის შედეგად გამოწვეული ზარალის დადგომის ალბათობა, როგორც სადაზღვევო ტარიფის აგების საფუძველი;**
- **კონკრეტული მოვლენები, რომელთა შემთხვევითობებისთვის ტარდება დაზღვევა;**
- **ქონების ღირებულების ნაწილი, რომელიც დაზღვევით არაა მოცული და დატოვებულია დამზღვევის რისკზე;**
- **მზღვეველის კონკრეტული დაზღვევის ობიექტები და ზარალის დადგომის ალბათობის ხარისხი.**

სადაზღვევო პორტფელის ფორმირებისას ტერმინი **„სადაზღვევო რისკი"** გამოიყენება მისი პირველი მნიშვნელობით. სადაზღვევო ოპერაციების ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფისა და დაბალანსებული სადაზღვევო პორტფელის პოზიციიდან ტერმინი **„სადაზღვევო რისკი"** - ძირითადად გამოიყენება მის მეოთხე მნიშვნელობაში.

პირთა, ან საგანთა ერთიანობა, რომელთა შორისაც ხდება რისკის განაწილება, ქმნის სადაზღვევო ერთობლიობას. სადაზღვევო ერთიანობა შეიძლება იყოს სამი სახის: **დახურული, ღია და სტაციონარული**. **დახურული** ერთობლიობის ქვეშ იგულისხმება ერთიანობა, რომელშიც არ არის მოსალოდნელი დამზღვევთა ახალი ნაკადის შემოსვლა. **ღია ერთობლიობა, დახურულისაგან** განსხვავებით, ისეა ფორმირებული, რომ მოსალოდნელია დამზღვევთა ახალი ნაკადის შემოსვლა, ანუ განმასხვავებელი თვისებაა - უწყვეტი განახლება. პრაქტიკაში შედარებით უფრო გავრცელებულია **ღია ერთობლიობა**. ერთობლიობა არის **სტაციონარული**, თუ წონასწორობა შენარჩუნებულია შეთანხმების ახალ შენაკადსა და განადენს შორის. თუ წონასწორობა დარღვეულია, ერთობლიობა არის **არასტაციონარული**. **საქართველოს სადაზღვევო ორგანიზაციათა აბსოლუტური უმრავლესობა მუშაობს სწორედ არასტაციონარულ ერთობლიობასთან, რის შედეგადაც სადაზღვევო გამოთვლები (აქტუალური გამოთვლები) ყოველთვის არაა საიმედო**. ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზია მზღვეველის მიერ სადაზღვევო და არასადაზღვევო რისკის განსაზღვრის დროს.

აღსანიშნავია, რომ სადაზღვევო ორგანიზაციის საქმიანობის თავისებურებას წარმოადგენს **სადაზღვევო ურთიერთობების ალბათური ხასიათი, დაზღვევის ობიექტების სადაზღვევო რისკი და სადაზღვევო მომსახურება, რესურსების დროებითი და ტერიტორიათშორისი გადანაწილება, მზღვეველსა და დამზღვევს შორის ურთიერთობის ჩაკეტილი ხასიათი** (რაც ნიშნავს იურიდიულად მყარი შეთანხმების არსებობას და მხარეთა ვალდებულებებს) მოითხოვს სადაზღვევო საქმიანობის მართვის განსაკუთრებულ მიდგომას.

რისკის შეფასებისას მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნას ოთხი სხვადასხვა მიდგომა: **საინჟინრო** (ეყრდნობა ავარიათა სტატისტიკას), **მოდელური** (მავნე ფაქტორთა ზემოქმედება ადამიანსა და გარემომცველ სამყაროზე), **ექსპერტული** და **სოციოლოგიური** გამოკვლევა. რისკის მართვისას იყენებენ მრავალკრიტერიალურ არჩევანს, რომლის პროცედურა აღიწერება გადაწყვეტილების მიღების თეორიით. ამასთან, **"რისკის ზომა"** ნაწევრდება და გამოიხატება იერარქიულად რაოდენობრივი მახასიათებლების დახმარებით.

სადაზღვევო საქმეში რისკის ზომის განსაზღვრის ამოსავალ წერტილად უმეტესად გამოიყენება მისი დადგომის ალბათობისა და მოსალოდნელი ზარალის სიდიდეთა შეფარდება. აღნიშნული არ ეწინააღმდეგება რისკ-მენეჯმენტში მიღებული რისკის განსაზღვრას. სადაზღვევო რისკის შედარებით ზუსტი განსაზღვრა და შეფასება შესაძლებელია მათემატიკური მეთოდებით - ალბათობის თეორიაზე, დიდ რიცხვთა კანონზე, სტატისტიკაზე და

ემპირიულ პროგნოზებზე დაყრდნობით.

სადაზღვევო რისკის ტექნიკური შეფასებისას შეიძლება წამოიჭრას გარკვეული პრობლემები, რომელიც განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებით. მაგალითად, **დამზღვევის მისწრაფება კომერციული საიდუმლოების დაცვისაკენ, მისი ფსიქოლოგიური განწყობა დამალოს ინფორმაცია ტარიფის შემცირების მიზნით და ა.შ.** ამასთან დაკავშირებით მზღვეველებს უნდა ჰყავდეთ საკუთარი პროფესიონალი სპეციალისტები - **აქტუარები, სხვადასხვა სახის რისკების შესაფასებლად და უშუალოდ სადაზღვევო ობიექტის გამოკვლევისას უნდა ჩატარდეს მათი სწორი შეფასება**.

რისკის კლასიფიკაციისას შეგვიძლია გამოვყოთ: **პიროვნული რისკები; ქონებრივი რისკები; პასუხისმგებლობის რისკები** და **ვალდებულებათა შეუსრულებლობის რისკები**.

რადგან რისკის არსებობა საზოგადოებისთვის დიდი დისკომფორტია, იგი ცდილობს მაქსიმალურად შეებრძოლოს მას სხვადასხვა მეთოდებით: **რისკი შეიძლება თავიდან ავიცილოთ; რისკი შეიძლება სხვას გადავცეთ; რისკი შეიძლება შევამციროთ** და **რისკი შეიძლება გადავანაწილოთ დროსა და სივრცეში**.

გამომდინარე აქედან, დაზღვევა შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც რისკის სხვისთვის გადაცემისა და შემდგომში მისი დროსა და სივრცეში გადანაწილების პრინციპით, რისკის შემცირების მეთოდი.

ეკონომიკურ თეორიაში არსებობს რისკის სიდიდის კლასიფიკაციის სხვადასხვა ვარიანტები. რისკ-მენეჯმენტში კი რისკი უნდა დაიყოს შემდეგ ჯგუფებად: **დასაშვები, კრიტიკული** და **კატასტროფული**. ამ კლასიფიკაციის დადებით მხარეს წარმოადგენს მისი სხვადასხვა პირობებში გამოყენების შესაძლებლობა.

სტიქიური უბედურებისას იცვლება, როგორც დამზღვევის, ასევე მზღვეველის ფინანსური მდგომარეობა. მზღვეველის ფინანსური მენეჯმენტის პოზიციიდან და დამზღვევის ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე რისკის სამი დონე შესაბამისად განსაზღვრავს რისკის შემდეგ სახეებს:

• **დასაშვები რისკი** — სამეწარმეო საქმიანობის შედეგად მოგების სრული დაკარგვის საშიშროება;

• **კრიტიკული რისკი** — ნავარაუდევი შემოსავლების დაკარგვა;

• **კატასტროფული რისკი** — მთელი ქონების დაკარგვა და გაკოტრება.

რამდენადაც მზღვეველი წარმოადგენს სამეურნეო ერთეულს, ეს კლასიფიკაცია მისთვისაც მისაღებია. ასე, რომ მზღვეველის საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, რისკის აღნიშნული დონეები ხასიათდება შემდეგნაირად:

• **დასაშვები რისკი** — რომელიც არ აღემატება საერთო პრემიების ზღვარს სატარიფო პერიოდში;

• **კრიტიკული რისკი** — სადაზღვევო ფონდის სრული გამოყენება საკუთარი კაპიტალის შენარჩუნებისათვის;

• **კატასტროფული რისკი** — მთელი ქონების დაკარგვა და გაკოტრება.

სადაზღვევო საქმის პრაქტიკაში სატარიფო განაკვეთის და ფასის გამოთვლისას, საკითხი ძირითადად ეხება მზღვეველის რისკს. მისი შეფასებისათვის იყენებენ რისკის შედარებით დაწვრილებით კლასიფიკაციას: **მსხვილი** და **კატასტროფული, დიდი, საშუალო, პატარა** და **უმნიშვნელო**. ჩემის აზრით, რისკის ბოლო სახე ყოველთვის არსებობს სამეწარმეო საქმიანობის ნებისმიერი სახეობის დროს. რისკის საკუთარ თავზე აღებისას, მზღვეველის ინტერესში ძირითადად საშუალო რისკები ექცევა, თუმცა, მაღალი, მსხვილი და კატასტროფული რისკების პრობლემა იხსნება ისეთი სადაზღვევო მექანიზმების გამოყენებით, როგორებიცაა: **თანადაზღვევა** და **გადაზღვევა**.

ბაზარზე მოქმედ ყოველ სადაზღვევო ორგანიზაციას აქვს როგორც გარე ვალდებულებანი (პარტნიორების, ბიუჯეტის, კლიენტების და სხვ. წინაშე), ასევე შინა ვალდებულებანი (დამფუძნებლების, ფილიალების, საკუთარი თანამშრომლების და ა.შ.). ამ პოზიციებიდან სადაზღვევო ორგანიზაციათა გარე ვალდებულებანი მოიცავენ სადაზღვევოს და არასადაზღვევოს, რომელთა შორის ძირითადი როლი მიეკუთვნება სადაზღვევო ვალდებულებებს, რადგანაც:

• **მათი შესრულებისას ადგილი აქვს სადაზღვევო საქმიანობის საზოგადოებრივი დანიშნულების სადაზღვევო დაცვის რეალიზაციას;**

• **სადაზღვევო ვალდებულებათა სიდიდეზე გავლენას ახ-**

დენს რისკის კატეგორია, რის გამოც ისინი ითხოვენ განსაკუთრებულ ყურადღებას.

სადაზღვევო საქმიანობის არსებითი მახასიათებლების ზემოქმედება მზღვეველის მიერ დამზღვევის წინაშე აღებულ რისკ-ვალდებულებათა ფორმირებაზე შეგვიძლია განვიხილოთ როგორც:

1. სადაზღვევო რისკის არსებობა გულისხმობს მზღვეველის ვალდებულებათა მოცულობის ცვლილებების შესაძლებლობას, რომელსაც საფუძვლად უდევს ობიექტური მიზეზების გავლენა.

2. სადაზღვევო ურთიერთობის ჩაკეტილი ხასიათი წარმოადგენს თეორიულ პოსტულატს, რომელიც საფუძვლად უდევს სატარიფო განაკვეთის გამოთვლას. თანამედროვე პირობებში თითქმის არაა სადაზღვევო კომპანია, რომელიც მუშაობს დამზღვევთა ჩაკეტილ შემადგენლობებთან. ამასთან დაკავშირებით, ერთი სადაზღვევო გაერთიანებისთვის გამოთვლილი ტარიფი მოქმედებს მეორე, რეალურად არსებული სადაზღვევო პორტფელის პირობებში. ეს გარემოება წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად მიზეზს, რომელიც ხელს უწყობს ე.წ. "მზღვეველის შეცდომას" რისკის განსაზღვრის დროს, რაც განაპირობებს, დამზღვევის წინაშე არაადეკვატურ გარემოებებს რესურსების ფორმირებისას. ამასთანავე იგი წარმოადგენს ერთ-ერთს იმ ფაქტორებიდან, რომლებიც წარმოქმნიან სპეციფიკურ "სადაზღვევო რისკს".

3. დაზღვევის მესამე არსებითი პირობაა ზარალის განშლადობა დროსა და სივრცეში. სწორედ ეს მოვლენა აძლევს საშუალებას მზღვეველს საკუთარ თავზე აიღოს ვალდებულებანი დამზღვევთა წინაშე, რომელიც ბევრად აჭარბებს მისი საკუთარი სახსრების მოცულობას. თვით ზარალის განშლადობის არსებობის ობიექტური ფაქტი მზღვეველს არ უხსნის პასუხისმგებლობას ვალდებულებათა გადაფარვაზე, თუ სადაზღვევო შემთხვევები ერთდროულად მოხდა მთელ სადაზღვევო პორტფელზე.

სადაზღვევო ორგანიზაციებისთვის სპეციფიკურ თავისებურებას წარმოადგენს თავად სადაზღვევო ურთიერთობათა სარისკო ხასიათი. რისკი დამახასიათებელია არა მარტო კომპანიის შიგნით, არამედ გარემო სამყაროსათვის და შესაბამისად მზღვეველებს შეიძლება დაემუქროს არა მარტო სადაზღვევო რისკი, არამედ ის რისკებიც, რომლებიც გამოწვეულია მათზე დამოუკიდებელი მიზეზებით: **პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური**. შორეულ პერსპექტივაში საკუთარი საქმიანობის წარმართვისას, უნდა იქნეს პროგნოზირებული ამა თუ იმ მოვლენის ალბათობა (სადაზღვევო და არასადაზღვევო), სტატისტიკურ, ფინანსურ და სხვა ანგარიშებზე დაყრდნობით, ასევე ინფორმაციებზე გარე სამყაროს მდგომარეობის შესახებ (პოლიტიკური კატაკლიზმების სიხშირე საზოგადოებაში, სოციალური დაძაბულობა, ინფლაცია და ა.შ.). შინა და გარე რისკ-ფაქტორების ზემოქმედების შესწავლას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა სადაზღვევო კომპანიის მართვის საქმეში.

სადაზღვევო ორგანიზაციების მართვისა და ფინანსური მდგრადობის სპეციფიკა გამოიხატება სწორედ რისკ-ვალდებულებათა ფორმირების თავისებურებებსა და მათი შესრულებისათვის საჭირო რესურსების ფორმირების თავისებურებებში, ასევე ვალდებულებათა შესრულების დამატებითი ფინანსური გარანტიების არსებობის აუცილებლობაშიც.